სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080189429316022

№ 3045

26 / სექტემბერი /
2022 წ.

შპს „ალუს“ შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“;

ტენდერების ნომრები: NAT190020331 და NAT190020330;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო

მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ალუ“ (ს/ნ: 405158289);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 29 ივნისს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ 2022 წლის 29 ივნისის № 1751-გ და № 1750-გ წერილობითი შეტყობინებები (რეგისტრაციის №5042 და №5043), რომლებითაც სააგენტოს ეცნობა ამხანაგობა „ამქარის“ (ს/ნ: 205387286) მიერ NAT190020331 და NAT190020330 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2020 წლის 20 იანვრის № GOG/ET/CW-226 და № GOG/ET/CW-225 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემებით დგინდება, რომ ამხანაგობა „ამქარის“ (ს/ნ: 205387286) მონაწილეები არიან შპს „ალუ“ (ს/ნ: 405158289) და შპს „IMD“ (ს/ნ: 204564211).

სააგენტომ შპს „ალუს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის alludevelopment@gmail.com მეშვეობით, 2022 წლის 5 ივლისის №2300 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინებების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეებზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს 2022 წლის 28 ივლისის №2528 წერილის პასუხად 2022 წლის 29 ივლისს წარმოადგინა 2022 წლის 29 ივლისის №2090-გ დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის № 5859) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით.

შემსყიდველმა ორგანიზაციამ სააგენტოს 2022 წლის 30 აგვისტოს №2843 წერილის პასუხად 2022 წლის 9 სექტემბერს წარმოადგინა 2022 წლის 9 სექტემბრის № 2550-გ დამატებითი ინფორმაცია (რეგისტრაციის №6889) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 26 სექტემბრის № 3040 განკარგულებით ამხანაგობა „ამქარი“ (ს/ნ: 205387286) NAT190020331 და NAT190020330 ელექტრონული ტენდერების

საშუალებით დადებული 2020 წლის 20 იანვრის № GOG/ET/CW-226 და № GOG/ET/CW-225 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში.

სამოტივაციო ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8^1 პუნქტის თანახმად, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი ამხანაგობაა, შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება როგორც ამხანაგობის, ასევე მისი მონაწილეების მიმართ.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 26 სექტემბრის № 3040 განკარგულებით ამხანაგობა „ამქარი“ (ს/ნ: 205387286) NAT190020331 და NAT190020330 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული 2020 წლის 20 იანვრის № GOG/ET/CW-226 და № GOG/ET/CW-225 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო დარეგისტრირდა შავ სიაში. შესაბამისად, შპს „ალუ“, როგორც ზემოაღნიშნული ამხანაგობის წევრი უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8^1 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ალუ“ (ს/ნ: 405158289) 2022 წლის 27 სექტემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში და მის შესახებ რეესტრში გაკეთდეს ორი სარეგისტრაციო ჩანაწერი.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე